საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-42

ქ. თბილისი "29" 04 2011 წ.

შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-ს „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის" კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 15.04.2011წ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №04 შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-ს „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის" (მაღალი ძაბვის საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა და ქვესადგურის განთავსება) კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-მ უზრუნველყოს ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 24.03.2011წ №11/2119 განცხადება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 15.04.2011წ. №04 და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ნებართვების სამსახურს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შ.პ.ს. „ენერგოტრანსი"-ს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „გარემოს დაცვის ინსპექციას".